განმარტება - მოსარგებლეების და პროექტის ცვლილებების

კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები უმნიშვნელოა და არ ეხება კლინიკაში მიმდინარე პროცესებს და მოსარგებლეებს-ცვლილება ეხება მხოლოდ დაშენებული სართულის შიდა გეგმარებას და მიშენებული (ლიფტის და ტამბურის) ფართის უმნიშვნელო შიდა გეგმარებით ნაწილს და ფანჯრის ღიობების დამატებას-ამ სამუშაოებს მოსარგებლეებთან შეხება არ აქვთ

ცვლილებები პროექტში აღნიშნულია ისრით და ცვლილების აღმნიშვნელი წარწერით - ცისფერი ფონით

ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები შეთანხმებული პროექტის მიხედვით (ბრძანება №4880011 16.03.2020 და ბრძანება № 5933315 11/05/2022) .

წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში შეტანილია უმნიშვნელო ცვლილებები:

1. დაშენებული მე-4 -ე სართულის შიდა გეგმარება სრულიად შეცვლილია-ჯანდაცვის ახალი ნორმების შესაბამისად;

2. შეცვლილია L1-L3/F ღერძებში ახალი ლიფტის მიმდებარედ გეგმარება: ტამბურის ფართი ჩაანაცვლა ადმინისტრაციული და საორდინატორო სათავსებმა;

3. შეცვლილია კიბის მარშის მიმართულება 8-9 /F ღერძებში (4 სართული);

4. 4 სართულიზე ნიშნ. +14,05 ლიფტის გვერდით დაემატა დამხმარე სათავსო რომელიც მეტალის ვერტიკალური კიბით უკავშირდება ლიფტის გაფართოვებულ სამანქანო-დამხმარე სათავსოს +17,32 ნიშნულზე. ამავე ნიშნულზე განთავსდება სახურავზე ჩილერი. სახურავს გაუკეთდება დამცავი მოაჯირი;

5. კიბის უჯრედში ღერძებში 13-14 / P-O მე-4 სართულზე კიბის თავზე სხვენში მოეწყო დამხმარე ფართი;

6. შეიცვალა ლიფტის შახტის მოპირკეთება ღერძებში L1-L2 - ალუკაბონდის ფურცლებით RAL 8017

7. მიშენებულ ნაწილში ღერძებში 8/ L2 დაემატა ფანჯრის ღიობები-1, 2, და 3 სართულებზე

8. მიშენებული ნაწილის და დაშენებული ნაწილის პარაპეტის აგურის ფერი შეცვლილია-RAL 8003;

9. გაუქმდა ღია მეტალის კიბე ღერძებში;

10. შეიცვალა-შემცირდა დაშენებული სართულის ფანჯრების სიმაღლეები ;

11. მიმღების შესასვლელის თავზე მოეწყობა მინა-მეტალის კონსტრუქცია -5,50 მX6,90 მ;

12. გაუქმდა ფანჟრის ღიობი მე-4 დაშენების სართულზე ღერძებში L-M / 3 ;

სხვა ცვლილება პროექტში შეტანილი არ არის და ვიზუალურად და ძირითადი პარამეტრებით შეესაბამება შეთანხმებულ პროექტს : შეთანხმებული პროექტით შენობის საერთო ფართია 8315.14 მ2 . კორექტირებული პროექტით საერთო ფართია 8263.79 მ2.